Biodiversity Conservation & Research Since 1989

NACRES

სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი "ნაკრესი"
ბესარიონ ჟღენტის ქ. №29; 0183 თბილისი; ტელ: (+995-32) 253 71 25; (+995-32) 253 71 24
www.nacres.org

Centre for Biodiversity Conservation & Research
29 Besarion Zhghenti str. 0183 Tbilisi, Georgia; Tel: (+995-32) 253 71 25; (+995-32) 253 71 24

23 ივნისი, 2020
250

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის ხელმძღვანელ
ქალბატონ მაია ბერაძეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის
ხელმძღვანელი ბატონ კარლო ამირგულაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2020 წლის 25 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა ადიგენის მუნიციპალიტეტში "აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია (შემსრულებელი კომპანია გამა კონსალტინგი). გარდა ამისა მიმდინარე წლის 10 აპრილს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა "აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის" გზშ-ის ანგარიშის პირველ ტომში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების მიზნით წარმოადგინა გზშ-ის ანგარიშის პირველი ტომის კორექტირებული ვერსია.

სამწუხაროდ, ჩვენი აზრით, წარმოდგენილი გზშ-ს დოკუმენტაცია შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობებს.

კერძოდ, „ზურმუხტის ქსელით" დაცული ჰაბიტატების ნაწილში გზშ-ს ავტორების მიერ მითითებულია, რომ საპროექტო ზონაში მათ მიერ ვერ იქნა გამოვლენილი „ზურმუხტის ქსელის" საიტი ბორჯომ-ხარაგაულის (GE0000010) სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში მითითებული ჰაბიტატები (D4.1; E1.2; E3.4; E3.5; F7; F9.1; G1.12; G1.6; G3.17; G3.4E; H1).

აქედან გამომდინარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის ავტორების აზრით, აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს ბერნის კონვენციით დაცულ ჰაბიტატებზე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, ნეგატიურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 9478
24 06 2020
+ 02 +

სახეობათა კონსერვაციის ცენტრი (NACRES) არის არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია. ცენტრის ძირითადი მიზანია ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვის, შენარჩუნებისა და აღდგენის ხელშეწყობა. ცენტრის საქმიანობა ეფუძნება სამეცნიერო კვლევებს და ხორციელდება საქართველოს რეგიონებში ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების წახალისების, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების და ბუნების დაცვით საქმიანობაში მათი ინტენსიური ჩართვის საშუალებით.

იმავდროულად გამა კონსალტინგის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მითითებულია (გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ტომი 3, გვ. 135), რომ მშენებლობის ზონაში გავრცელებულია ჰაბიტატები:

- G1.21 მდინარისპირა Alnus-ის ტყე,
- G3.1H აღმოსავლური ნაძვის Picea orientalis ტყეები

აღსანიშნავია, რომ ეს ორი ჰაბიტატი დაცულია ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის №4 რეზოლუციით (გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი ბუნებრივი ჰაბიტატების ჩამონათვალი, რომელთაც სფეციფიკური საკონსერვაციო ღონისძიებები ესაჭიროება) და მათი სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის შენარჩნუნება ქვეყნის ვალდებულებაა, იმის მიუხედავად ნახსენებია თუ არა აღნიშნული ჰაბიტატი სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში. აღნიშნულ ჰაბიტატებზე ისეთივე პროცედურები და მოთხოვნები ვრცელდება, როგორც „ზურმუხტის ქსელის“ საიტი ბორჯომ-ხარაგაულის (GE0000010) სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში მითითებულ 11 ჰაბიტატზე.

სამწუხაროდ გზშ-ს დოკუმენტი არ შეიცავს არანაირ ინფორმაციას იმ პოტენციური საფრთხეების შესახებ, რომელსაც ადგილი ექნება მშენებლობისა და ექსპლოატაციის ეტაპზე, ნახსენებ ორ ჰაბიტატთან მიმართებაში (G1.21 მდინარისპირა Alnus-ის ტყე და G3.1H აღმოსავლური ნაძვის Picea orientalis ტყეები).

გარდა ამისა ჩვენი ორგანიზაციის წინასწარი კვლევები მეტყველებს, რომ "აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობის მონაკვეთზე წარმოდგენილია სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში ნახსენები ჰაბიტატის (G3.4E ევროპული ფიჭვის (Pinus sylvestris) პონტურ-კავკასიური ტყეები) უბნები, რაც ასევე საჭიროებს ბერნის კონვენციით დაცული ჰაბიტატებზე პოტენციური საფრთხეების შეფასებას.

აქედან გამომინარე, ჩვენი აზრით წარმოდგენილი დოკუმენტი, სამწუხაროდ, ვერ იძლევა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და „ზურმუხტის ქსელის“ საიტი ბორჯომ-ხარაგაულის (GE0000010) ჰაბიტატებზე ზემოქმედების სრულ სურათს და არ შეიძლება გამოყენებული იქნას გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად.

საუკეთესო სურვილებით,

ირაკლი შავგულიძე
გამგეობის თავმჯდომარე

NACRES - Centre for Biodiversity Conservation and Research
204866500